კაცთა მოძმეობავ, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) შინაგანაწილი კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მაღალთა დეპუტატთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 28 ნოემბერი, 1947 წ. № 236 (8020). ფასი 20 კაპ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ:

ᲐᲠᲩᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚᲐᲓ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘᲜ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲐ — მოწვნავე (1-ლი გვერდი).

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ — ᲝᲗᲘᲮ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ! (1-ლი გვერდი).

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ (1-ლი გვერდი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ (1-ლი გვერდი).

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲮᲒᲐᲛᲝ ᲬᲔᲚᲗᲔᲒᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ 26 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ (მე-2 გვერდი).

ᲒᲐᲜᲘᲡᲮᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ (მე-2 და მე-4 გვერდი).

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲝᲒᲜᲝᲔᲑᲘᲡᲝ-ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲖᲦᲣᲚᲔᲑᲘᲗ (მე-3 გვერდი).

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ᲐᲠᲩᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚᲐᲓ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐᲗᲐ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘᲜ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲐ

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება სულ უფრო ჩაღდება. უკვე დამტკიცებულია საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოთა არჩევნების საარჩევნო კომისიები, შექმნილია საარჩევნო ოლქები და უბნები, დასასრულს უახლოესდა ამომრჩეველთა სიების შედგენა-დაზუსტება.

არჩევნებისათვის მზადების ამ ეტაპზე ადგილობრივი საბჭოების წინაშე მეტად მნიშვნელოვანი ამოცანები დგას.

საარჩევნო უბანი მთელი წინასაარჩევნო მუშაობის ცენტრია. აქ უშუალოდ მოვლენ ამომრჩეველები, აქ ეწარმოთს ბიუელეტენების მიღება და არჩევნების დამთავრების შემდეგ ხმების დათვლა. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ეხიჭება საარჩევნო უბნების დროულად მოწყობას და გაფორმებას. ადგილობრივი საბჭოების გადაუდებელი ამოცანა დროზე შეასრულონ ეს ამოცანა და საარჩევნო უბნების სანიმუშოდ მოწყობით უზრუნველყოონ არჩევნებში ყველა ამომრჩეველის აქტიური მონაწილეობა.

ამ საკითხში საქმისადმი ფორმალური მიდგომა დაუშვებელია. მართალია ქალაქები და დიდი დასახლებული პუნქტები უკვე დაყოფილია საარჩევნო უბნებად, დადგენილია მათი საზღვრები, მაგრამ ზედაპირი არ იქნება, რომ ადგილობრივმა საბჭოებმა ერთხელ კიდევ გულდასმით, ადგილზე ჩამოვლით შეამოწმონ საარჩევნო უბნების საზღვრების სისწორე, გამოარკვიონ რომელიმე ქუჩა ან სახლი ხომ არ არის გამორჩენილი, საარჩევნო უბნების საზღვრებს გარეთ დატოვებული. ასეთი შემოწმება უფრო მეტად საჭიროა ქალაქების გაბალონა და ახლად დასახლებულ პუნქტებში, რადგან წარსული არჩევნების შემდეგ ჩვენ ბევრნი ინდუსტრიულმა ქალაქებმა ახალი მოსახლეობის შემატების მხრივ. ცვლილებები განიცადეს, შეიქმნა მცხოვრებთა ახალი უბნები და კვარტალები.

კარგა ხანია, რაც საუბნო საარჩევნო კომისიები შეიქმნა, მაგრამ მათთვის შრომებიას გამოყოფა მთელ რიგ ადგილებში, მათ შორის თბილისის ქალაქის რაიონებშიც ქიანურდება. ზოგან ეს ბინები შეუფრებელია და მათს მოწყობას არ შესდგომიან. ასეთი დოკუმენტებიდან შეიტყობ, საარჩევნო უბნებში ხმის მისაცემად შენობების შერჩევას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ამ მიზნით ბამოყოფილ უნდა იქნეს საუკეთესო საზოგადოებრივი შენობები — კლუბები, საბჭოთა დაწესებულებები, ამასთან აუცილებლად საარჩევნო უბნის ცენტრში. შენობები კეთდებულად უნდა მოეწყოს. ოთახები, სადაც საარჩევნო ბიუელეტენების შევსება მოხდება, უნდა აკმაყოფილებდეს საარჩევნო კანონის მოთხოვნებს ხმის მიცემის საიდუმლოების სასტიკად დაცვის შესახებ.

კარგად მოიქცნენ იქ, სადაც ჩაატარეს საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და პარტორგანიზაციების მდივნების თათბირი საარჩევნო უბნების შენობათა მოწყობა-გაფორმების საკითხებზე. თბილისის ლენინის რაიონის, ქუთაისის, სოხუმისა და ბათუმის ქალაქის საწარმოთა აქტივისტებმა საზოგადოებრივი თვითმოქმედი ძალების გამოყენებით უკვე დაიწყეს საარჩევნო უბნების შენობათა მოწყობა და გაფორმება.

მხოლოდ საარჩევნო უბნის როლის შეუფასებლობით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ გურჯაანის რაიონების ერთ კვანძზე არა მარტო არ მოუწყვიათ საარჩევნო უბნის შენობა, არამედ დღემდე აგიტპუნქტების გაფორმებაზეც არ უფიქრნიათ. და გაინა მარტო ეს! მთელ რიგ ქალაქებში და სოფლებში სოლოკონ საარჩევნო კომისიებისა და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის შესაფერისი ბინების გამოყოფაზე ნაკლებად ზრუნავენ. ზოგიერთი საბჭოთა მუშაკი თავს იმშვიდებს—არაჩვენებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და ყველაფერს მოვასწრებთო. ასეთი განწყობილება ძირიანად მცდარია. გაბა ფაქტი არ არის, რომ ბევრ სასოფლო საარჩევნო უბანსა და აგიტპუნქტ არა აქვს განთავსება და გათბობა, რის გამო საღამოობით ამომრჩეველთა შორის მუშობას ეფექტურად ვერ ატარებენ? ეს ფაქტია და რაიონის ხელმძღვანელი ორგანოებისაგან სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს.

სოლუქა, სალალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოთა წინაშე მთელი სერიოზულობით დგას ამოცანა — სწორად შეადგინონ ამომრჩეველთა სიები და თავის დროზე მეგამაქეკუნონ ყველას გასაცნობად. სიების სწორად შედგენა საბჭოთა მოქალაქის მიერ საყოველთაო საარჩევნო უფლების პრაქტიკულად განხორციელების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. მ. ი. კალინინი 1937 წლის არჩევნების წინ მიუთითებდა, რომ „სიების შედგენა ტექნიკური საქმეთაა, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ სიების ხარისხი საბჭოთა აპარატის, საბჭოთა კადრების მდგომარეობის, მუშობის უსარგებლობა და კეთილსინდისიერების დამახასიათებელი იქნება“.

„შემნნეკოვი, განსაკუთრებით თბილისის ზოგიერთ რაიონში, რომ ამომრჩეველთა სიები „ფაზუტება“ მიანდეს სახლმართველებს, მაგალითად, სტალინის სახელობის რაიონში. სახლმართველები ამომრჩეველთა სიებს ადარებენ „სახლის წიგნში“ ჩაწერილ მობინადრეთა მიხედვით. ამასთან ივიწყებენ, რომ გასულ პერიოდში მობინადრეთა შორის ბევრი ცვლილება მოხდა. თუ ამ საკითხს სერიოზულად არ მივუდგებით, შეიძლება ზოგიერთი ამომრჩეველი სიის გარეთ აღმოჩნდეს. ამიტომ საჭიროა თვითეულ სახლში მისვლა, მცხოვრებთა რაოდენობისა და ვინაობის გამოჭვეკვეა და ამის შემდეგ „სახლის წიგნში“ ჩანაწერებთან შედარება. ამ საშუშაოთა შესასრულებლად გამოყენებული უნდა იქნეს უმთავრესად სახელმწიფო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაკები, მასწავლებლები, უმაღლესი სასწავლებლისა და ტექნიკუმების სტუდენტები, საშუალო სკოლის უფროსი კლასის მოსწავლეები და სხვ. ყოველგვარი ზომები უნდა მივიღოთ, რომ სიები არ გამორჩეს არც ერთი ამომრჩეველი, არ დამახინჯდეს მათი გვარი, სახელი და მამის სახელი.

ადგილობრივი საბჭოები ვალდებული არიან არაუგვიანეს 1947 წლის 11 დეკემბრისა, ე. ი. არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, გამოაქეკუნონ ამომრჩეველთა სიები ყველას გასაცნობად, ხოლო შემდეგ, როგორც ეს დადგენილია საარჩევნო კანონით, ოპერატიულად, განცხადებების შეტანიდან არაუგვიანეს სამი დღისა, განიხილონ საკითხები სიებში დაშვებულ შეცდომათა შესახებ და შეიტანონ მასში სათანადო შესწორებები.

დიდი ორგანიზაციული მუშაობა მოელინ ადგილობრივ საბჭოებს საარჩევნო კამპანიის დროებში. ამ მუშაობის შესრულება მარტო საბჭოთა აპარატის ძალებზე დაყრნანთან შეუძლებელი იქნება. მასში მონაწილეობა უნდა მიიღონ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებმა და საბჭოთა აქტივისტ ფართო მასებმა. რაც მეტი იქნება ეს აქტივი, მით უფრო წარმატებით შეასრულებენ ადგილობრივი საბჭოები მთელ წინაშე მდგომ ამოცანებს არჩევნების ორგანიზაციოლად მომზადებისათვის.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ—ᲝᲗᲘᲮ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ!

ᲡᲐᲛᲔᲜᲐᲮᲕᲔᲠᲯᲔᲠ ᲛᲔᲯᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ 1949 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

— 21 დეკემბრისათვის შეეასრულოთ წლიური საწარმოო გეგმა,—ასეთი ვალდებულებაა ჩასწერეს თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშებმა მიმდინარე წლის დასაწყისში ლენინგრადელთა მამრთვის სპასუხოდ მიღებულ თავიანთ დადგენილებაში და ენერგიული მუშაობა გააჩაღეს მისი განხორციელებისათვის.

ფაბრიკის კოლექტივი საქართველოს ფეხსაცმლის ფაბრიკების შორის პირველი გადავიდა სტახანოველ მატროსოვის მეთოდით მუშობაზე. შეაქმედრივა სამუშაო დრო, უკეთ მოაწყო შრომა, განამტკიცა შრომის დისციპლინა და თვალსაჩინო წარმატებაც მოიპოვა. ფაბრიკამ 130,6 პროცენტით შეასრულა ოქტომბრის საწარმოო გეგმა, ხოლო 25 ნოემბრისათვის სასაქონლო პროდუქციის გამოშვების 11 თვის გეგმა გაანაღდა.

ფაბრიკის კოლექტივი ერთსულოვანი ნებაყოფლობით შეხვდა ლენინგრადელთა ახალ პატრიოტულ თაოსნობას. მიმართვის განსახილველად მოწვეულ კრებებზე ფაბრიკის მუშებმა დასახეს ღონისძიებები მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის, იკისრეს ახალი ვალდებულებები.

— ჩვენს ფაბრიკაში ჩემი ბრიგადა, —განაცხადა ბრიგადირმა ა. კრუტოვამ,—პირველი გადავედი სტახანოველ მატროსოვის მეთოდით მუშობაზე და დიდი წარმატებებიც მოიპოვა. სამუშაო დროის შემდგომი შემჭიდროების, შრომის ორგანიზაციის კიდევ უფრო გაუმჯობესების საშუალებით ბრიგადის სახელით ეკისრულობ 1948 წლის ბოლოსათვის შეასრულო ხუთწლიანი გეგმა.

— ათ თვეში ორი წლის გეგმა შეეასრულეთ, — აცხადებს სტახანოველი ოლგა ოფიშევი, — ლენინგრადელთა მიმართვის სპასუხად ეკისრულობ ჩემი ხუთწლიანის სამ წელიწადში განადგურებას.

კრებებზე ახალი ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე სტახანოველებმა ენოკიანმა, თეოზაძემ, სოლოგუბმა, ვართანოვმა, კოჩიევმა და სხვებმა.

ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა 20 დეკემბრისათვის შეასრულოს მიმდინარე წლის საწარმოო გეგმა, ერთი წლით ადრე—1949 წლისათვის გამოუშვას სამნაზეთვარჯარ მეტი პროდუქცია 1946 წლთან შედარებით და ამით მოიწოოს ახალი ხუთწლეულის ბოლოსათვის გათვალისწინებულ დონეს.

ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲕᲚᲘᲜᲝᲗ ᲨᲘᲜᲐᲠᲔᲡᲣᲠᲡᲚᲔᲑᲘ

გულდასმით გაეცნენ თბილისის იარაღ-მანქანების ქარხნის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები ლენინგრადელთა მიმართვას.

ჩვენი ქარხნის კოლექტივმა ორი თვით და ხუთი დღით ადრე შეასრულა ომის შემდგომი ხუთწლეულის მეორე წლის გეგმა და გამარჯვებული გამოვდა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებაში,—აცხადებს ქარხნის დირექტორი ამხ. ჭიკვანიძე. ახლა ლენინგრადელები ყველა ახალი შრომითი ღონისძიებისაკენ მოგვიწოდებენ. ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მაგალითად ერთსულოვნად უნდა დავუჭიროთ მხარი ამ პატრიოტულ თაოსნობას, გამოვავლინოთ შინარესურსები, კიდევ უფრო ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება და ახალი ხუთწლეული აუცილებლად შეეასრულოთ ოთხ წელიწადში.

ტრიბუნაზეა საზეიკლო-შემკრები საამქროს უფროსი ამხ. ვ. ანჯაფარიძე. ლენინგრადელთა პატრიოტულ თა-

ᲞᲧᲘᲜᲒᲚᲔᲚ ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲔᲔᲑᲗᲐᲜ

ტყიბულელი მეშახტეები აქტიურად გამოეხმაურნენ ლენინგრადელთა მიმართვას. ლენინის სახელობის შახტაში მეშახტეთა ხალხმრავალ კრებაზე სტახანოველმა მნრეველმა დ. ქათამაძემ, რომელიც მომავალი წლის გეგმის ანგარიშსა ოდებს ქვანახშირის, იკისრა სამნახევარ წელიწადში შეასრულოს საკუთარი ხუთწლეული.

მეორე უბნის უფროსმა ვ. ცირეკიძემ უბნის მეშახტეების სახელით იკისრა ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულება. ამ უბნის გ. ქუმბინოსნობამ ახალი შრომითი ღონისძიებათა წყაროვანალისა,—ამბობს ამხ. ანჯაფარიძე. სამამეროს სახელით ეკისრულობ ახალი ხუთწლეული 1948 წლის ოცდასამათვის განადღეკვას.

ჩემი ბრიგადა მომავალი წლის დამლეკვამათვის შეასრულებს ხუთწლიან გეგმას, — განაცხადა ახალგაზრდობის ბრიგადის ბრიგადირმა, სტახანოველმა ხარატმა ი. არაბიძემ.

ახალი ხუთწლეული სამ წელიწადში განადღეკვა იკისრეს სატვიფრო და სამშენებელო სამამქროს უფროსებმა ი. ელიმოვმა და რ. მაჭავარიანმა.

ზეინლელები ვ. კვინიკაძე, პ. თვაური, მეფალიტე ი. ჯიშკარიანი, შემდუღებელი გ. კვალიაშვილი და მტვიფრავი ნ. ნელაძე კისრულობენ თვიანთი ხუთწლეული სამ წელიწადში შესრულებას.

ქარხნის კოლექტივმა ერთხმად დაუჭირა მხარი ლენინგრადელთა მიმართვას და ახალი ხუთწლეული ოთხ წელიწადში შესრულება იკისრა.

ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲬᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ

ლენინგრადის მოწინავე საწარმოთა მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა ახალი მოწოდების საპასუხოდ შორაპნის ქვანძის საწარმოებში ჩატარდა საერთო კრებები და მიტინგები. ყველგან ერთსულოვნად იკისრეს გადიდებული საწარმოო ვალდებულებების შესრულება ახალი ტალინური ხუთწლეულის ოთხ წელიწადში შესასრულებლად.

შორაპნელი მეკვალეები წარმატებით შეუფასენ ლენინგრადელთა ახალი მოწოდების საპასუხოდ ნაკისრი ვალდებულებების განაღდებას. მათ ამჟამად წლიური გეგმის გადამეტებით უკვე გამოშვებული აქვთ კაპიტალურად შეკეთებული 40 ვაგონი. მათ იკისრეს 31 დეკემბრამდე წლიური გეგმის გადამეტებით კიდევ მოგვცენ 20 შეკეთებული ვაგონი.

დიდი წარმატებით მუშაობენ მარგანეცის მტკერთავეებიც. ლ. სუქანიცის და ა. დვალის ბრიგადებმა მარგანეცის დატვირთვის ნორმრის თვიერი დაკვალება ვადამდე ათი დღით ადრე შეასრულეს.

ბაშორელმა მეელმავლეებმა იკისრეს ყოველწლიურად გეგმის გადამეტებით გამოუშვან აწეკვეთი რემონტიდან ორი ელექტრომავალი და აწეკვეთი რემონტის სამუშაოები 8 დღეადმის ნაცვლად შეასრულონ 3,5 დღეადმეში. საელექტრომავლო დეპოს კოლექტივმა ამასთან ერთად იკისრა ისე მოაწყოს მუშაობა, რომ ელექტრომავალთა სათადარიგო ნაწილების გამოშვების ხუთი წლის გეგმა გაანაღდოს 4 წელიწადში, ხოლო სადეკალ ლოთონსხმელის დამზადების გეგმა—3 წელიწადში, ე. ი. 1948 წლის ბოლოსათვის.

თბილისის სამგზავრო სადგურნო უბნის კოლექტივმა ლენინგრადელთა ახალი მოწოდების პასუხად პირობა დასდო ვაგონთა რემონტის ყოველთვიური გეგმა შეასრულოს 125 პროცენტით, „ავადმყოფ“ ვაგონთა საშოალო ნაშთი შეამცირონ ნორმასთან შედარებით 15 პროცენტით, ხოლო თვითეული სამგზავრო ვაგონის რემონტის თვითღირებულება—20 პროცენტით.

ამ მაჩვენებლების ყოველთვიური მიღწევით თბილისი მევაგონეები უზრუნველყოფენ ახალი ხუთწლეულის 4 წელიწადში შესრულებას.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲩᲐᲒᲝᲦᲔᲑᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

აღფრთოვანებით ეცნობიან ლენინგრადელთა პატრიოტულ მიმართვას სამრეთ ოსეთის საწარმოებში.

სოციმბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, — განაცხადა სტალინირის ხე-ტყის კომბინატის დირექტორმა მ. ფაფელიძემ,—ჩვენმა კომბინატმა 20 ოქტომბრისათვის 100,4 პროცენტით შეასრულა წლიური გეგმა. უკეთესი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს ცალკეულმა საამქრებმა. მაგალითად, საავეჯო საამქრომ ცხრანახევარი თვეში წლიური დავალება 118 პროცენტით გაანაღდა. ჩვენი კომბინატის კოლექტივი ამჯერადაც მხურვალედ მიესალმება ლენინგრადელთა მოწოდებას და პირობას იძლევა, რომ ომისშემდგომი ტალინური ხუთწლეული დავალება შეასრულოს ოთხ წელიწადსა და კიდევ უფრო ადრე.

კომბინატში ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება.

ლენინგრადელთა მოწოდებას გამოეხმაური წნელისის ტალის ქარხნის კოლექტივი. ამ ქარხანამ წლიური გეგმა 25 ოქტომბერს შეასრულა.

— ჩვენ სამმილ გავანაღდებთ ლენინის ქალაქის საწარმოთა კოლექტივების პასუხად ნაკისრ ვალდებულებას და ახალ ხუთწლეულ ოთხ წელიწადში შეეასრულებთ, — განაცხადა ქარხნის სტახანოველმა ს. ძაბახიძემ.

ლენინგრადელთა მოწოდებას კონკურენტი ვალდებულებებით უპასუხეს ყვალის ტყვიი-თუთიის საბადოსა და გრუბის ნავთსაძიებო უბნის კოლექტივებმა.

ვლ. ᲒᲝᲚᲐᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲯᲣᲗᲐᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲯᲕᲘᲜᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲬᲘᲚᲔᲚᲐ ᲓᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲮᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ

ომამდე, მაგალითად, 1940 წელს მრავალშვილიანი დედების სახელმწიფო დახმარების საერთო თანხა 1.200 მილიონ მანეთს შეადგენდა ულნაწილადა.

ომიანობის დროს საბჭოთა მთავრობამ მანეთის მყიდველობითი უნარის დაცვის მიზნით ბინაზნენ ეფექტიანი ფინანსური ბიზნესის ბალანსი. ომიანობის დროს ნაკლებ ფულ ბეჭდავდა, ეკონომიურად ხარჯავდა ბიუჯეტს, ეზოგავდა ბუნებრივ რესურსებს, ეზოგავდა ადამიანურ ძალებს, ეზოგავდა ადამიანურ ენერგიას, ეზოგავდა ადამიანურ ცხოვრებას.

ომიანობის დროს ბევრ ადგილას ეკონომიკა ეფუძნებოდა ბარტერულ ბაზრებს, ბევრ ადგილას ბაზარი ბუნებრივ ნაკადებზე

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ

ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომაზე 26 ნოემბერს

ჩვენ გადავწყვიტეთ განვიხილოთ ექვსი საკითხი და შეეხებოთ ისინი ჩვენს დღის წესრიგში. ამ პირველ რიგში დენმარკ საკითხი ეხება გერმანიას და ავსტრიას ხელშეკრულებას. ამ საკითხებს ერთნაირი მნიშვნელობა როდი აქვს.

საბჭოთა დელეგაცია წინადადებას იძლევა, რომ ჩვენი თათბირის დღის წესრიგში პირველი ადგილი დაიკავოს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების საკითხმა. ვინაიდან გამოირკვა, რომ არის ამის საწინააღმდეგო აზრი, მე ჩვენს მოტივებს უფრო დაწვრილებით ჩამოვაყალიბებ.

საბჭოთა მთავრობის აზრით, აღარ შეიძლება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების გადადება. საკმარისია ითქვას, რომ გერმანიის კაპიტულაციის დღიდან უკვე ორ წელიწადნახევარზე მეტი გავიდა, ხოლო ეს საკითხი აგვიიდანაც არ დაძრულა.

ჩვენ ცოტა დრო როდი დავხარჯეთ, რომ მოგვეშზადებინა ხუთი საზავო ხელშეკრულება გერმანიის ყოფილ მოკავშირეებთან. ეს მუშაობა, ბოლოდროინდელ, საერთოდ წარმატებით დამთავრდა. იტალიასა, რუმინეთსა, ბულგარეთსა, უნგრეთსა და ფინეთთან დადებული საზავო ხელშეკრულებანი უკვე ძალაში შედგა. ამ ქვეყნების ხალხთა წინაშე გადაეშალა მშვიდობიანი განვითარების ჭეშმარიტებები, რაც შეესაბამება არა მარტო ამ ხალხთა მისწრაფებებს, არამედ ევროპაში მტკიცე მშვიდობის დამყარების ინტერესებსაც.

ახლა დადგა დრო გადაიჭრას მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხი გერმანიასთან. ჩვენსაც ვერაფერ გაგიგია, თუ მინისტრების სხვენ ადგილებს ამ საკითხის გადაჭრას და მიაკუთვნებს მას. ჩვენი თათბირის მეორეხარისხოვან საქმეთა რიცხვს.

ამავე დროს ჩვენ უნდა გადავეჭიროთ ავსტრიის საკითხეც. ესეც საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ამ სესიის ერთ-ერთი ამოცანაა.

ჩვენ გადავწყვიტეთ საბჭოს ამ სესიაზე განვიხილოთ მთელი რიგი საკითხები, რომლებიც გერმანიას შეეხება. მათ შორის არის მიმდინარე ხასიათის დიდმნიშვნელოვანი საკითხები. მათ სერიოზული ყურადღება უნდა დაეუთმოთ. მაგრამ გერმანიისათვის ძირითადი საკითხია საზავო ხელშეკრულების საკითხი. ასეთი ხელშეკრულების მომზადების დაწყება დღემდე ძნელი იყო, ვინაიდან საბჭოს ჰქონდა მთელი რიგი სხვა გადაუდებელი საქმეები. მაგრამ, მეორე მხრივ, ამ საკითხის დიდი ზნით გადადება ახლა უკვე დაუშვებელია.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხი, როგორც ეს ყველა ჩვენგანისთვის გასაგებია, წარმოადგენს გერმანიის ბედის საკითხს და, ამასთან ერთად, ევროპაში მშვიდობის სრული აღდგენის საკითხს. ეს საზავო ხელშეკრულება მარტო გერმანიის როდი სჭირდება. იგი სჭირდება ევროპის და არა მარტო ევროპის ყველა ხალხს. განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ ევროპის ხალხებს სურთ, რომ, ბოლოს და ბოლოს, დამყარდეს მტკიცე მშვიდობა მთელს ევროპაში. ეს სავსებით გასაგებიცაა, ვინაიდან ევროპაში სრული მშვიდობის დაუმყარებლად არ შეიძლება იყოს მტკიცე საყოველთაო მშვიდობა.

რასაკვირველია, გერმანიისათვის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხი უბრალო საკითხი როდია, და ამ საკითხის განხილვისას ჩვენს შორის იქნება ესათუოს უთანხმოება, მაგრამ ამ საკითხის გადადება სრულებითაც ვერ შეამუსუბუქებს მდგომარეობას.

ახლა, ომისშემდგომ პერიოდში, როგორც ცნობილია, წარიან წარმოიშობა ხოლმე უთანხმოება ამათუიმ საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხებზე საბჭოთა კავშირსა და მის მეგობარ დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის, ერთი მხრივ, და ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოს შორის, მეორე მხრივ. ამ მხრივ დიდი განსხვავებაა იმას შორის, რაც ომის დროს იყო, და იმას შორის, რასაც ადგილი აქვს ომის დამთავრების შემდეგ. რით აიხსნება ეს ახალი ფენომენი? რა არის მათი საფუძველი?

მეორე მსოფლიო ომის დროს დიდმა ბრიტანეთმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, საბჭოთა კავშირმა და სხვა დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა შექმნეს ანტიჰიტლერული კოალიცია და ერთობლივად ეწეოდნენ განმათავისუფლებელ ბრძოლას ფაშისტურ სახელმწიფოთა ბანაკის წინააღმდეგ, რომლებიც ისწრაფოდნენ მსოფლიო ბატონობისაკენ და მთელ მსოფლიოში ფაშისტური წყობილების დამყარებისაკენ,—და ეს ბრძოლა მათ ერთობაში ნებდა, შესაძლებლობას აძლევდა წარმატებით გადაეჭრათ საერთაშორისო მნიშვნელობის ბევრი რთული საკითხი. საკმარისია დავიმოწმოთ ისეთი ფაქტები, როგორიც არის სამი მოკავშირე სახელმწიფოს კონფერენცია თეირანში, იალტასა და პოტსდამში, რომელთა შესახებაც გადაწყვეტილებანი მნიშვნელოვან წვლილად შეეიტა ხალხთა ისტორიაში.

მდგომარეობა შეიცვალა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, როცა გამოირკვა, რომ ანტიფაშისტური კოალიციის წინანდელ მონაწილეთა შორის არსებობს სხვადასხვა მიზნები ომისშემდგომი მშვიდობის დამყარების საკითხში.

მაშინ გამოირკვა, რომ ერთი ჯგუფი ქვეყნებისა ისწრაფვის დამყაროს დემოკრატიული მშვიდობა — ხალხთა თანასწორფუფლებიანობასა და დიდ და მცირე სახელმწიფოთა სუვერენიტეტის აღიარებაზე დამყარებული მშვიდობა. ასეთი მშვიდობა შესაძლებელია იძლეოდა განვითარდეს მშვიდობიანი თანაშრომლობა სახელმწიფოებს შორის, მიეხედავად საზოგადოებრივი სისტემების სხვადასხვაობისა და მიეხედავად იდეოლოგიების სხვადასხვაობისა. დემოკრატიული მშვიდობის დამყარება აყრეთვე ნიშნავს, რომ დამარცხებულ ქვეყნებსაც აქვთ თავისუფალი დემოკრატიული განვითარების, აგრეთვე თავიანთი დამოუკიდებლობის სრული აღდგენის უფლება.

ამასთან ერთად, მაშინ გამოირკვა, რომ სხვა ქვეყნები ისწრაფვიან არა დემოკრატიულობა, არამედ იმპერიალისტური მშვიდობის დამყარებისაკენ, რაც ნიშნავს ზოგიერთი ძლიერი სახელმწიფოების ბატონობას სხვა, დიდ და მცირე ხალხებზე, მათი უფლებებისა და ეროვნული სუვერენიტეტისთვის საგარეშოს გაუწევლად. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ იმპერიალისტური მშვიდობის დამყარება აუცილებლად გამოიწვევს სახელმწიფოების დაყოფას ორ კატეგორიად: ერთი მხრივ, გაბატონებულ სახელმწიფოებად და, მეორე მხრივ, დამორჩილებულ და დამონებულ სახელმწიფოებად, ეს კი, თავის მხრივ, გამოიწვევს ახალ საერთაშორისო კონფლიქტებსა და ომებს, რომლებიც შეიცავენ მესამე მსოფლიო ომის საფრთხეს.

იმპერიალისტური მშვიდობის დამყარებისაკენ მისწრაფვის, რასაკვირველია, არ შეიძლო არ გამოიწვიოს მრავალი დემოკრატიული სახელმწიფოს წინააღმდეგობა. მე არ დავფარავ, რომ საბჭოთა კავშირი ძალიანად დგას იმთ მხარეზე, ვინც ისწრაფვის დემოკრატიული მშვიდობის დამყარებისაკენ და იბრძვის ხალხებისათვის იმპერიალისტური მშვიდობის თავზე მოხვევის წინააღმდეგ. იმპერიალისტური მშვიდობა არ შეიძლება მტკიცე იყოს. მტკიცე შეიძლება იყოს ისეთი მშვიდობა, რომელიც ემყარება დემოკრატიულ საფუძვლებს.

აქედან სჩანს, თუ რა არის გუშინდელ მოკავშირეთა შორის უთანხმოების საფუძველი.

ეს შეეხება გერმანიისათვის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხსაც. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებამ ხანგრძლივი პერიოდით უნდა განსაზღვროს გერმანიის ბედი. ბუნებრივია, იბადება კითხვა, ეს ხელშეკრულება დამყარებული იქნება დემოკრატიული მშვიდობის პრინციპებზე თუ იმპერიალისტური მშვიდობის პრინციპებზე.

საბჭოთა კავშირისათვის, რომელიც ახორციელებს მშვიდობის ლენინურ-სტალინურ პოლიტიკას, პასუხი ამ კითხვაზე ნათელია, და ეს პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ ასეთი: გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება უნდა ემყარებოდეს დემოკრატიული მშვიდობის პრინციპებ და ხელს უნდა უწყობდეს გერმანიის ეკონომიური აღდგენას და მის, როგორც დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს, მომავალ აღდგენას. მოკლედ რომ ვთქვათ, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება ამ პრინციპს უნდა ემყარებოდეს, რომლებიც საფუძვლად დაედო მოკავშირე სახელმწიფოთა იალტასა და პოტსდამის კონფერენციების გადაწყვეტილებებს გერმანიის საკითხზე. ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე ჩვენ უნდა უზრუნველყოთ გერმანიის დემილიტარიზაცია და დემოკრატიზაცია და, ამასთან ერთად, უზრუნველყოთ გერმანიის მიერ იმ ზარალის ქვეყნების წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება, რომლებიც ჰიტლერული აგრესიისაგან დაზარალდნენ. ამ საფუძველზე შემუშავებული საზავო ხელშეკრულება შესაძლებლობას მისცემს თვით გერმანიასაც დაძლიოს ახლანდელი დროებითი სიძნელეები, მტკიცედ დადგეს გერმანიის, როგორც დემოკრატიული მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს, ეკონომიური აღდგენის და განვითარების გზას. ოთხ სახელმწიფოს, რომლებიც კონტროლს უწევენ ახლანდელ გერმანიას, მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამ ამოცანათა სწორი გადაჭრისათვის, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ძველი მსოფლიოს ხალხებისათვის.

გერმანიის შესახებ არის, ალბათ, სხვა გეგმაც, რომელიც მამრთულია იქითკენ, რომ არ იქნას დაშვებული ძველი ეკონომიური აღდგენა ამის შედეგად, რომ გერმანია კონცერნენტ გახდება ევროპისა და მსოფლიო ბაზრისა. ამ გეგმას შეესაბამება ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიმართულია გერმანიის ეკონომიური დასუსტებისაკენ და გერმანიის როგორც ერთიანი სახელმწიფოს დანგრევისაკენ, თუნდაც ამის შესახებ აშკარად არ ლაპარაკობდნენ. ასეთი შეხედულებანი გერმანიის გადმოყენებას შეიცდებიან ის სახელმწიფოები, რომლებსაც გერმანიის ესათუ ტერიტორია სჭირდებათ როგორც ბაზა, უწინარეს ყოვლისა, სამხედრო მრეწველობის განვითარებისათვის, ხოლო გერმანიის რეკვიზიციები ძალები — როგორც ისეთი პოლიტიკის დასაყრდენი, რომელიც მიზნად ისახავს ბატონობას ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებზე და მიმართულია ფაშიზმისაგან განთავისუფლებულ ევროპის სახელმწიფოებში დემოკრატიული მოძრაობის განვითარების წინააღმდეგ. ცხადია, ეს პოლიტიკა გამოხატავს მისწრაფებას იმპერიალისტური მშვიდობის დამყარებისაკენ ამ შემთხვევაში ეს საშიში გეგმა ევროპაში დემოკრატიისა და მშვიდობის ინტერესთა თვალსაზრისით. ამ გეგმას, რომელიც მიმართულია გერმანიის როგორც ერთიანი დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენისა და გერმანელი ხალხის საარსებო ინტერესების წინააღმდეგ, შეუძლია დახმარება გაუწიოს მხოლოდ გერმანიის რეკვიზიციურ-რევანშისტებს, რომლებიც მზად არიან ხელი აიღონ გერმანიის გაერთიანების იდეა და გამოიყენონ იგი თავიანთი რევანშისტული მიზნებით, ოცნებობენ რა აგრესიული იმპერიალისტური გერმანიის აღდგენაზე.

დემოკრატიულ ქვეყნებს შორის არ უნდა იყვნეს გერმანიის მიმართ ასეთი გეგმის მომხრენი. დემოკრატიულ ქვეყნებს შორის მით უმეტეს არ უნდა იყვნენ ისეთი გეგმის მომხრენი, რომელიც ისეთი ცდის მომამზადებელი იქნება, რომ გერმანიის ესათუს ნაწილი გამოყენებულ იქნა ო�კრიც სამხედრო ან სამხედრო-სამრეწველო ბაზად ამათუიმ მომავალი სამხედრო აგენტურისათვის ევროპაში, ან როგორც რეკვიციული ძალთა დასაყრდენი ევროპაში გერმანიისა და სხვა ევროპული სახელმწიფოების პროგრესულ, დემოკრატიულ ძალთა წინააღმდეგ. მხლოდ იმპერიალისტური მშვიდობის მომხრეებს შეუძლიათ მხარი დაუჭირონ ასეთ გეგმას გერმანიის მიმართ, რამაც არ შეიძლება არ გამოიწვიოს მრავალი დემოკრატიული ქვეყნის საწინააღმდეგო მოქმედება. გერმანიის მიმართ ასეთი გეგმის თანმიმდევარ მოწინააღმდეგეთა მორწმუნეთა, ბუნებრივია, იქნება საბჭოთა კავშირიც, რომელიც განუხრელად იცავდა და დაიცავს ევროპაში და ევროპის ფარგლებს გარეთ დემოკრატიული მშვიდობის აღდგენის ინტერესებს.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადებისას, ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, მოგვიხდება ორი ძირითადი საკითხის გადაჭრა. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადებას წარმატება ექნება იმ შემთხვევაში, თუ სწორად დადგიჭრება, ჯერ ერთი, საერთო გერმანული დემოკრატიული ხელშეკრულების შექმნის საკითხი, მეორე, ამ ხელშეკრულების განსახილველად საერთო საზავო კონფერენციის საკითხი. რასაკვირველია, არის საზავო ხელშეკრულების მომზადებასთან დაკავშირებული სხვა საკითხეც. მაგრამ ვადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ ორ მთავარ საკითხს.

ჩვენ ამ საკითხების გადასაჭრელად ბაზაც მოგვეპოვება.

პოტსდამის კონფერენციამ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შექმნასა პოტსდამის ოქმში, რომ „საბჭოს მოუკანონებელ იქნება გერმანიისათვის მშვიდობიანი მოწესრიგების მოსამზადებლად, რათა შესაბამისი დოკუმენტი მიიღოს ამ მიზნისათვის ეარსებსა გერმანიის მთავრობამ, როცა ასეთი მთავრობა შეიქმნება“. პოტსდამის კონფერენციის ეს გადაწყვეტილება უნდა შესრულდეს. ალარ შეიძლება საერთო გერმანული დემოკრატიული მთავრობის შექმნის საკითხის შემდგომ გადადება. ასეთ გადადებას ზიანი მოაქვს არა მარტო გერმანელი ხალხისათვის, არამედ ევროპის სხვა ხალხებისათვისაც, რომლებიც დაინტერესებული არიან მთელ ევროპაში მტკიცე მშვიდობის უსწრაფესი დამყარებით.

რაც შეეხება საზავო კონფერენციას, ჩვენ ახლავე უნდა შეეთანხმდეთ მის მონაწილეთა შემადგენლობაზე. შარშან საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ნიუ-იორკის სესიაზე ჩვენ ერთსულოვნად დავადგინეთ, თუ რომელი სახელმწიფოები უნდა იქნან მოზიდულნი წინასწარი კონსულტაციისათვის გერმანიის საზავო ხელშეკრულების მომზადებისას. მაშინ გადაწყდა, რომ კონსულტაციებისათვის, ხუთი დიდი სახელმწიფოს გარდა, მოზიდულ უნდა იქნან გერმანიის მეზობელი მოკავშირე სახელმწიფოები, აგრეთვე სხვა მოკავშირე სახელმწიფოები, რომლებიც მოკავშირეობენ „სახელმწიფოთა ტერიტორია სჭირდებათ როგორც ბაზა, უწინარეს ყოვლისა, სამხედრო მრეწველობის განვითარებისათვის, ხოლო გერმანიის რეკვიციული ძალები — როგორც ისეთი პოლიტიკის დასაყრდენი, რომელიც მიზნად ისახავს ბატონობას ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებზე და მიმართულია ფაშიზმისაგან განთავისუფლებულ ევროპის სახელმწიფოებში დემოკრატიული მოძრაობის განვითარების წინააღმდეგ. ცხადია, ეს პოლიტიკა გამოხატავს მისწრაფებას იმპერიალისტური მშვიდობის დამყარებისაკენ ამ შემთხვევაში ეს საშიში გეგმა ევროპაში დემოკრატიისა და მშვიდობის ინტერესთა თვალსაზრისით. ამ გეგმას, რომელიც მიმართულია გერმანიის როგორც ერთიანი დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენისა და გერმანელი ხალხის საარსებო ინტერესების წინააღმდეგ, შეუძლია დახმარება გაუწიოს მხოლოდ გერმანიის რეკვიციონერ-რევანშისტებს, რომლებიც მზად არიან ხელი აიღონ გერმანიის გაერთიანების იდეა და გამოიყენონ იგი თავიანთი რევანშისტული მიზნებით, ოცნებობენ რა აგრესიული იმპერიალისტური გერმანიის აღდგენაზე.

დემოკრატიულ ქვეყნებს შორის არ უნდა იყვნეს გერმანიის მიმართ ასეთი გეგმის მომხრენი. დემოკრატიულ ქვეყნებს შორის მით უმეტეს არ უნდა იყვნენ ისეთი გეგმის მომხრენი, რომელიც ისეთი ცდის მომამზადებელი იქნება, რომ გერმანიის ესათუს ნაწილი გამოყენებულ იქნა როგორც სამხედრო ან სამხედრო-სამრეწველო ბაზად ამათუიმ მომავალი სამხედრო აგენტურისათვის ევროპაში, ან როგორც რეკვიციული ძალთა დასაყრდენი ევროპაში გერმანიისა და სხვა ევროპული სახელმწიფოების პროგრესულ, დემოკრატიულ ძალთა წინააღმდეგ. მხლოდ იმპერიალისტური მშვიდობის მომხრეებს შეუძლიათ მხარი დაუჭირონ ასეთ გეგმას გერმანიის მიმართ, რამაც არ შეიძლება არ გამოიწვიოს მრავალი დემოკრატიული ქვეყნის საწინააღმდეგო მოქმედება. გერმანიის მიმართ ასეთი გეგმის თანმიმდევარ მოწინააღმდეგეთა მორწმუნეთა, ბუნებრივია, იქნება საბჭოთა კავშირიც, რომელიც განუხრელად იცავდა და დაიცავს ევროპაში და ევროპის ფარგლებს გარეთ დემოკრატიული მშვიდობის აღდგენის ინტერესებს.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადებისას, ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, მოგვიხდება ორი ძირითადი საკითხის გადაჭრა. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადებას წარმატება ექნება იმ შემთხვეაში, თუ სწორად დადგიჭრება, ჯერ ერთი, საერთო გერმანული დემოკრატიული ხელშეკრულების შექმნის საკითხი, მეორე, ამ ხელშეკრულების განსახილველად საერთო საზავო კონფერენციის საკითხი. რასაკვირველია, არის საზავო ხელშეკრულების მომზადებასთან დაკავშირებული სხვა საკითხეც. მაგრამ ვადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ ორ მთავარ საკითხს.

გაიხსნა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ლონდონის სესია

ლონდონი, 25 ნოემბერი. (საგ. ფენის სპეც. კორ.). დღეს აქ, ლანკასტერ-ჰაუზის შენობაში, გაიხსნა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მე-5 სესია. სესიას ესწრებიან: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ბევინი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. მარშალი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. ბიდო, აგრეთვე მინისტრთა მოადგილენი, მრჩეველნი და ექსპერტები.

დღეგანდელ სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ, რომ დამკვიდრებულიყო პროცედურის შესაბამისად სხდომებზე მორიგეობით გასწიონ თავმჯდომარეობა ყველა მინისტრი. პირველ სხდომას თავმჯდომარეობდა ე. ბევინი.

მინისტრები შეთანხმდნენ მეშაბოს წესის შესახებ. გადაწყდა აგრეთვე, რომ თვითეული დელეგაცია ზეპირს მიიღებს, რათა იფორმაციათ მიაწოდოს პრესას მინისტრების საბჭოს მუშაობის შესახებ. ეს შეუძლებელს არ ხდის, რომ გამოაცემულ იქნას შეთანხმებული კომუნიკე, როცა ბიზნეშენილად იქნება მინნეული.

შემდეგ მინისტრები შეეხდნენ დღის წესრიგის განხილვას. როგორც უკვე ვიუწყებოდით, მინისტრების მოადგილეთა თათბირმა, რომელიც ნიუ ეფდოდა ამ სესიას, ვერ გამოიტანა შეთანხმებული გადაწყვეტილება დღის წესრიგის შესახებ. ამიტომ სესიის განსხილ ნინ თვითეულმა დელეგაციამ წარადგინა თავისი პროექტი. შესაბამა დელეგაციამ წარადგინა შემდეგი დღის წესრიგი: 1) გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადების პროცედურა. 2) დემოლიტარიზაციის საკითხზე საგარეო საქმეთა მინისტრებს საბჭოს მოსკოვის სესიის გადაწყვეტილების შესრულების შესახებ. 3) ეკონომიური პრინციპები, გერმანიის ომისშემდგომი ეკონომიკის დონე, რეპარაციათა გეგმა. 4) გერმანიის დროებითი პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა და მოცულობა. 5) ავსტრიის ხელშეკრულების საკითხთა კომისიის მოხსენება.

ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დელეგაციებმა წარადგინეს იდენტური პროექტები, რომლებიც სიტყვასიტყვით ემთხვევიან ერთმანეთს. ყველა ამ პროექტში მეორეება შემდეგი პუნქტები: 1) ავსტრიის ხელშეკრულების საკითხთა კომისიის მოხსენება. 2) ეკონომიური პრინციპები, გერმანიის ომისშემდგომი ეკონომიკის დონე, რეპარაციათა გეგმა. 3) გერმანიის დროებითი პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა და მოცულობა. 4) გერმანიის განიარაღებისა და დემილიტარიზაციის შესახებ ხელშეკრულების ამერიკული პროექტი და სხვა საკითხები, რომელნიც ეკუთვნიან ეხებიან. 5) გერმანიის საზღვრები. 6) გერმანიის საზავო ხელშეკრულების მომზადების პროცედურა.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მოითხოვა, რომ დღის წესრიგიის დასაწყისში შეტანილ იქნას ის საკითხები, რომელნიც ერთმანეთს ემთხვევიან დღის წესრიგის ოთხივე პროექტში: 1) გერმანიის საზავო ხელშეკრულების მომზადების პროცედურა. 2) ეკონომიური პრინციპები, გერმანიის ომისშემდგომი ეკონომიკის დონე, რეპარაციათა გეგმა. 3) გერმანიის ეროვნული ფორმა და ეროვნული ორგანიზაციის ფორმა. 4) გერმანიის ეროვნული ეკონომიური ერთიანობა. 5) ავსტრიის ხელშეკრულების საკითხთა კომისიის მოხსენება.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, ჩინეთისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ეს ცვლილებანი ერთხმად მიიღეს.

ამ ცვლილებათა შეტანის შემდეგ, ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის, ჩინეთისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ერთხმად ეს ოთხივე ერთმანეთისაგან ოდნავ განსხვავებული პროექტი, ანუ ერთ ერთ ოთხივე ერთ ერთ ერთ

გავაჩაღოთ სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა საარჩევნო უბნებში

კონსულტაცია

საარჩევნო უბანი

